

კლიმატის ცვლილება ევროპის მასშტაბით

თამარ ხუნწელია

ელ-ფოსტა: tamar.khuntselia108@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ტერიტორიული განვითარების როლი ძალიან მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, ტერიტორიული განვითარება პასუხისმგებელია კლიმატის ცვლილებისთვის რეგიონალური მოწყვლადობის შემცირების საქმეში, ასევე საჭიროა კლიმატის ცვლილების შედეგების შესამცირებლად შესაძლებლობების განვითარება და ცვლილებებთან ადაპტირება.

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ESPON კლიმატის ცვლილების პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები (European Spatial Planning Observation Network- ევროპის სივრცითი დაგეგმვის სადამკვირვებლო ქსელი)

პროექტმა შეიმუშავა ახალი მეთოდოლოგია ინტეგრირებული მოწყვლადობის შეფასებისა და გამოიყენა ის ევროპის ყველა რეგიონისთვის, რათა შეიქმნას საფუძველი, რომელიც აუცილებელია კლიმატის ცვლილების საკითხებში ევროპის ტერიტორიული განვითარების პოლიტიკისათვის. მოწყვლადობის შეფასება ეფუძნება კლიმატის ცვლილების მოდელებს (პროექტში გამოიყენება CCLM), ემისიის სცენარს (A1B) და, რა თქმა უნდა, მომავალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს. ამგვარად, ESPON- ის კლიმატის პროექტის შედეგები უნდა განიხილებოდეს, როგორც შესაძლო სცენარი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორი იქნება ევროპის მომავალი კლიმატის ცვლილების შემდეგ და არა როგორც მკაფიო პროგნოზი. თუმცა, ის გარკვეულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რჩევებს იძლევა იმის შესახებ, რომ ადაპტაცია უნდა ეფუძნებოდეს კლიმატის ცვლილების განსაზღვრულ რეგიონულ ტიპოლოგიებს.